

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვის განცხადება



წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

CPV კოდი - 71300000

ქ. რუსთავი

2015 წელი

ს ა რ ზ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება	3-4
2. ტექნიკური დავალება	5
3. დანართი №1	6
4. ხელშეკრულების პროექტი.....	7-8
5. დავალებები დაპროექტებაზე.....	9-12

საკონკურსო განცხადება

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20) აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია ქალაქ რუსთავში მ.კოსტავას გამზირი №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15, ფიროსმანის №3 და №5 საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაციისა და მინათების მოწყობისათვის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 36000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარს.
4. დაფინანსების წყარო: 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.
5. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).
6. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-5 ან მე-6 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
10. დავიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (მათ შორის საკონკურსო განცხადების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოუდგენლობა) არ განიხილება და დალუქული პაკეტი გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.
11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (1 დალუქულ პაკეტით) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი თანდართული წერილით უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 15 ივნისის 09:00 საათიდან 2015 წლის 16 ივნისის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20 (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მისაღები)
12. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 17 ივნისს 15:00 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20.
13. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
15. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:
 - საკონკურსო წინადადების ფასი-წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;
 - გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია, ესკიზი-რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას A3 ფორმატით და ასევე განმარტებითი ბარათი;
 - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა;
 - რეკვიზიტები-დანართი №1-ს მიხედვით.
16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.
17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 36000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარს არ განიხილება.
18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:
 - არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.7
 - საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2
 - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა-0.1
 - შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით
 - კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 40 სამუშაო დღის განმავლობაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.
20. საჭიროების შემთხვევაში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
21. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები და არქიტექტურული დეტალები შეთანხმდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტთან.
22. გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.
23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
24. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: მამუკა მამიაშვილი ტელ: 599 40 10 09; ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20.

ტექნიკური დავალება

ქალაქ რუსთავში მ.კოსტავას გამზირი №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15, ფიროსმანის №3 და №5 საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაციისა და მინათების მოწყობისათვის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის გეგმის შემუშავებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს:

№	საპროექტო ობიექტის დასახელება	განზ. ერთ.	სავარაუდო რაოდენობა
1	2	3	4
1	კოსტავას გამზ. №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15. ფიროსმანის ქუჩა №3 და №5 საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	მ2	27000
2	კოსტავას გამზ. №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15. ფიროსმანის ქუჩა №3 და №5 საცხოვრებელი სახლების მინათების მოწყობა	მ2	27000

შენიშვნა: საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი იყოს როგორც 3D ვიზუალით ასევე პრეზენტაციის სახით (დღის და ღამის ეფექტებით).

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო ღირებულება უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 1 485 000 (ერთი მილიონ ოთხას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარს

პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს: ვიზუალური მხარისა და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას თანდართული-დავალებებით დაპროექტებაზე-განსაზღვრული პირობების გათვალისწინება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა. (პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წამოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართულ - დაპროექტებაზე დავალებებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას და ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას 2 ცალი ვიზუალური საინფორმაციო ბანერი, ზომით: 4X2 მ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

შენიშვნა: მომსახურება გაწეული უნდა იქნას საქართველოში დადგენილი შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ერთი მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სახით და მეორეს მხრივ, --- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის --- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 მ.კოსტავას გამზირი №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15, ფიროსმანის №3 და №5 საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაციისა და მინათების მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- 1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---- ლარს.
- 2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

- 3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 3.3 დაფინანსების წყარო: 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.
- 4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.
- 4.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:
- გაწეული მომსახურების აღწერა;
 - გაწეული მომსახურების ღირებულება.

5. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

- 5.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. რუსთავი
- 5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 40 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
- ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
 - ბ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
- 6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- 6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში;
 - ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

- 7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.
- 7.2 ინსპექტირების გამწვევის ფუნქციები:
- ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
 - ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
 - გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწვევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.
- 7.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,1%** -ის ოდენობით.
- 8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **1%** -ს პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 9.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

- 10.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დავალება დაპროექტებაზე
ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზირის ფასადების რეაბილიტაცია

1.ობიექტის მდებარეობა	საპროექტო ობიექტი მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე
2.ძირითადი მოთხოვნები	უნდა განხორციელდეს შენობა-ნაგებობის აღნუსხვა და რეალური მდგომარეობის ვიზუალური შეფასება (ფოტო-ფიქსაცია) და ამ არეალის ძირითადი ნიშან-თვისებების განსაზღვრა; დაზიანებული ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების რდოს, აღწერილი უნდა იქნეს კონკრეტულ შენობაზე დასამუშავებელი და აღსადგენი ორნამენტები და ქონგურები. ცალკეული ელემენტების დეტალური არქიტექტურული და ზოგ შემთხვევაში მუშა პროექტები (გეგმები,ჭრილები,ფასადები,ცალკეული კვანძები და დეტალები,ვერტიკალური გეგმარება,სამგანზომილებიანი ვიზუალიზაციები). წარმოდგენილი უნდა იქნას ქუჩის განშლა. ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD ან ArchiCAD და PDF ფორმატში). დაინომროს და შეფასდეს დაზიანების ხარისხი, ასევე მისი აღდგენის ღონისძიებების ასახვა უწყისში და ხარჯთაღრიცხვაში. ფასადის მონაკვეთების დაზიანებების შეფასება, გამაგრება გაძლიერების ღონისძიებების ასხვა უწყისში და ხარჯთაღრიცხვაში. ფასადის ფერები უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან. საპროექტო სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს კომპლექსურად ყველა შენობაზე და ასევე ცალკეული შენობების მიხედვით.
3. მშენებლობის ღირებულების განსაზღვრა	მშენებლობის ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით. აგრეთვე ხარჯთაღრიცხვაში კონკრეტულ პუნქტ(ებ)ში, მასალის არსებობის შემთხვევაში, ზუსტად უნდა იყოს აღწერილი გამოყენებული მასალების განზომილებები (გამოყენებული მასალის სისქე და ხარისხის აღმნიშვნელი მახასიათებლები)
4. პროექტი უნდა მოიცავდეს	➤ თავფურცელს - ობიექტის დასახელებასა და მისამართს, ➤ განმარტებით ბარათს ➤ სამშენებლო სამუშაოების კალენდარული გეგმას; ➤ სამუშაოების მოცულობათა უწყისს ➤ სიტუაციურ გეგმას; ➤ გენ გეგმას; ➤ ფსასდრები და ჭრილები; ➤ კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები,

	კვანძები, სპეციფიკაციები (მ.1:100, 1:50, 1:25, 1:10), სართულების მიხედვით, გეგმებზე და სხვა შესაბამის ნახაზებზე დატანით და მითითებით - სად რა ტიპის და ხასიათის ღონისძიებაა განსახორციელებელი. ➤ არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციას, ➤ ტექნიკურ მაჩვენებლებს; ➤ პროექტში სხვა დამატებითი აუცილებელი სამუშაოების წარმოქმნის შემთავებაში, სამუშაოების პროექტში გათვალისწინება უნდა მოხდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.
5. საავტორო ზედამხედველობა	საპროექტო ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა დამზადებული პროექტ(ებ)ის განხორციელების მშენებლობის პროცესში. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა. .საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო ობიექტზე მისვლა და საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დასადასტურებლად.
6. საავტორო ზედამხედველობის ვადები	ტექნიკურ დავალებაში გაწერილი ყველა ობიექტის მშენებლობის განხორციელების დასრულების მთელი პერიოდი.
7. პროექტის წარმოდგენის წესი	➤ შემსრულებელმა შესასრულებელი სამუშაოების პროექტი და ხარჯთაღრიცხვები უნდა წარმოადგინონ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (ბეჭდვითი ვერსიით 4 პირად, ელ ვერსია Exell ფორმატში); ➤ ტექნიკური ნახაზები (ასევე ელ. ვერსიით PDF ფორმატში); ➤ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვები დაბეჭდილი უნდა იქნას „Sylfaen” – (ka) შრიფტით

დავალება დაპროექტებაზე
ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზირის ფასადების განათება

1. ობიექტის მდებარეობა	საპროექტო ობიექტი მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე
2. ძირითადი მოთხოვნები	პროექტის ფარგლებში უნდა შემუშავდეს განათების სისტემის დიზაინერული გადაწყვეტილებები და დეტალური პროექტები. ფასადების რეაბილიტაციისთვის შექმნილი მაკეტის მიხედვით მხატვრული განათების შექმნა და დეტალური პროექტი. ქონგურებზე, ორმანამენტებზე და სხვა არქიტექტურულ ელემენტებზე მინათების მოწყობა. ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD ან ArchiCAD და PDF ფორმატში). საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს კომპლექსურად ყველა შენობაზე და ასევე ცალკეულად ყველა შენობაზე.
3. მშენებლობის ღირებულების განსაზღვრა	მშენებლობის ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით. აგრეთვე ხარჯთაღრიცხვაში კონკრეტულ პუნქტ(ებ)ში, მასალის არსებობის შემთხვევაში, ზუსტად უნდა იყოს აღწერილი გამოყენებული მასალების განზომილებები (გამოყენებული მასალის სისქე და ხარისხის აღმნიშვნელი მახასიათებლები)
4. პროექტი უნდა მოიცავდეს	➤ თავფურცელს - ობიექტის დასახელებასა და მისამართს, ➤ განმარტებით ბარათს ➤ სამშენებლო სამუშაოების კალენდარული გეგმას; ➤ სამუშაოების მოცულობათა უწყისს ➤ სიტუაციურ გეგმას; ➤ გენ გეგმას; ➤ გარე განათების სისტემის კვთების ანგარიშს; ➤ მინათების 3D ვიზუალს; ➤ ელექტრომომარაგების ქსელის გეგმებს; ➤ კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ.1:100, 1:50, 1:25, 1:10), სართულების მიხედვით, გეგმებზე და სხვა შესაბამის ნახაზებზე დატანიტ და მითითებით - სად რა ტიპის და ხასიათის ღონისძიებაა განსახორციელებელი. ➤ არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციას, ➤ ტექნიკურ მაჩვენებლებს; ➤ პროექტში სხვა დამატებითი აუცილებელი სამუშაოების წარმოქმნის შემთავევაში, სამუშაოების პროექტში გათვალისწინება უნდა მოხდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.

5. საავტორო ზედამხედველობა	საპროექტო ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა დამზადებული პროექტ(ებ)ის განხორციელების მშენებლობის პროცესში. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვითკონსულტაციის გაწევა. .საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო ობიექტზე მისვლა და საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დასადასტურებლად.
6.საავტორო ზედამხედველობის ვადები	ტექნიკურ დავალებაში გაწერილი ყველა ობიექტის მშენებლობის განხორციელების დასრულების მთელი პერიოდი.
7. პროექტის წარმოდგენის წესი	➤ შემსრულებელმა შესასრულებელი სამუშაოების პროექტი და ხარჯთაღრიცხვები უნდა წარმოადგინონ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (ბეჭდვითი ვერსიით 4 პირად, ელ ვერსია Exell ფორმატში;) ➤ ტექნიკური ნახაზები (ასევე ელ. ვერსიით PDF ფორმატში); ➤ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვები დაბეჭდილი უნდა იქნას „Sylfaen” – (ka) შრიფტით